NYC Mayor's Office of Immigrant Affairs | ემიგრანტთა საქმეების შემსწავლელი მერიის სამსახური

# ნიუ-იორკში მყოფი ემიგრანტებისთვის განკუთვნილი რესურსები

## თქვენი საიმიგრაციო სტატუსის მიუხედავად, ნიუ-იორკი მზად არის დასახმარებლად.

### საიმიგრაციო იურიდიული დახმარება

**უფასო და უსაფრთხო საიმიგრაციო იურიდიული დახმარების მისაღებად დარეკეთ ტელეფონის ნომერზე 800-354-0365** ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით დილის 9 სთ-დან საღამოს 6სთ-მდე.

### NYC ID ბარათი

**შეიტანეთ განაცხადი IDNYC-ის მისაღებად,** ეს არის უფასო მუნიციპალური საიდენტიფიკაციო ბარათი 10 წლის და უფროსი ასაკის ნიუ-იორკის ყველა მაცხოვრებლისთვის. განაახლეთ ონლაინ ან ჩაეწერეთ რეგისტრაციისთვის და დარეკეთ **ნომერზე 311** ან ეწვიეთ ვებ-გვერდს: **nyc.gov/idnyc**

### ინგლისური ენის კურსები

გაიარეთ **ინგლისური ენის უფასო კურსები** ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას. ეწვიეთ ვებ-გვერდს:**wespeaknyc.cityofnewyork.us** უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად.

### ჯანდაცვა

**NYC Health+Hospitals (H+H), H+H-ს** შეუძლია გადაუდებელი დახმარების, ძირითადი სამედიცინო მომსახურების მიწოდების, იმუნიზაციის და უფრო მეტი მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა. **დარეკეთ ტელეფონის ნომერზე 1-844-NYC-4NYC (1-844-692-4692) თქვენთან ყველაზე ახლოს მდებარე ცენტრში გადასაყვანად.** ჯანმრთელობის დაზღვევასთან დაკავშირებულ გეგმებში ჩართვის მიზნით,**NYC Care-ის** პროგრამის ჩათვლით, დარეკეთ **646-NYC-CARE (646-692-2273)** ან ეწვიეთ **nyccare.nyc-ს**.

### ფსიქიკური ჯანმრთელობა

კონფიდენციალური მხარდაჭერის და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და წამალდამოკიდებულების რესურსებზე წვდომის მისაღებად, **დარეკეთ ტელეფონის ნომერზე 888-692-9355 ან 988 გაუგზავნეთ შეტყობინება WELL-ს ნომერზე 65173** ან ეწვიეთ ვებ-გვერდს: **mentalhealthforall.nyc.gov**

### გადაუდებელი დახმარება

**გადაუდებელი შემთხვევის დადგომისას დარეკეთ ტელეფონის ნომერზე 911.** გადაუდებელი შემთხვევა არის სიტუაცია, რომელიც საჭიროებს დაუყოვნებელ დახმარებას პოლიციის, სახანძრო დეპარტამენტის ან სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალის მხრიდან. **კანონის თანახმად, ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტს არ შეუძლია იკითხოს დანაშაულის მსხვერპლთა, მოწმეთა ან სხვა პირთა საიმიგრაციო სტატუსის შესახებ, როდესაც ისინი ითხოვენ დახმარებას.**

### სახელმწიფო განათლება

**ნიუ-იორკში მაცხოვრებელ 4-21 წლის ასაკის ნებისმიერ ახალგაზრდას შეუძლია მიიღოს განათლება საჯარო სკოლაში.** რეგისტრაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს **schools.nyc.gov/fwc** ან დარეკეთ ტელეფონის **ნომერზე 311**.

### ქალაქის ზოგადი რესურსები და ინფორმაცია

გჭირდებათ რომ ქონდეთ წვდომა ქალაქის რესურსებზე ან გსურთ შეატყობინოთ პრობლემის შესახებ? დარეკეთ ტელეფონის ნომერზე **311** ან ეწვიეთ ვებ-გვერდს: **portal.311.nyc.gov**

### ცხელი ხაზი ნიუ-იორკის იმიგრანტების საკითხებთან დაკავშირებით

დარეკეთ ჩვენს ცხელ ხაზზე **212-788-7654** ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 9AM-დან 5PM-მდე ან გამოიყენეთ ელექტრონული ფოსტა **askomia@cityhall.nyc.gov**

Mayor's Office of Immigrant Affairs | ემიგრანტთა საქმეების შემსწავლელი მერიის სამსახური

# ნიუ-იორკში მყოფი ემიგრანტებისთვის განკუთვნილი რესურსები

## თქვენი საიმიგრაციო სტატუსის მიუხედავად, თქვენ გაგაჩნიათ უფლებები.

### მოერიდეთ საიმიგრაციო თაღლითობას

თუ გჭირდებათ ემიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე იურიდიული კონსულტაციის მიღება, მიმართეთ მხოლოდ ლიცენზირებულ ადვოკატს ან უფლებამოსილ წარმომადგენელს. უფლებამოსილი და აღიარებული პროვაიდერების სია შეგიძლიათ იპოვოთ ვებ-გვერდზე: **nyc.gov/immigrants**.

### საიმიგრაციო კონტროლთან დაკავშირებული უფლებები

ნიუ-იორკი არ ახორციელებს საიმიგრაციო კონტროლს. თუ მოგმართათ ფედერალურმა საიმიგრაციო სამსახურმა, თქვენ გაქვთ უფლებები. ეწვიეთ ვებ-გვერდს: **nyc.gov/knowyourrights** ან დარეკეთ საიმიგრაციო იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენს ცხელ ხაზზე, **800-354-0365**.

### დასაქმებული პირების უფლებები

თქვენ გაქვთ უფლება მიიღოთ ანაზღაურებადი შვებულება ავადმყოფობის გამო, მინიმალური ხელფასი, ანაზღაურება ზეგანაკვეთური სამუშაოსთვის და უფრო მეტი ნიუ-იორკის კანონმდებლობის მიხედვით. ეწვიეთ ვებ-გვერდს:**nyc.gov/workers** ინფორმაციის მისაღებად ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე **212-436-0381**.

### შეტყობინება დისკრიმინაციის შესახებ

ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ნიუ-იორკის კანონის მიხედვით შევიწროვება და დისკრიმინაცია უკანონოა. დისკრიმინაციასთან დაკავშირებული შემთხვევის შეტყობინების მიზნით, დარეკეთ ტელეფონის ნომერზე **212-416-0197**.

### ოჯახური ძალადობისგან დაცვა

ნიუ-იორკი აქ არის რომ დაგეხმაროთ თუ თქვენზე ძალადობენ. შეგიძლიათ ეწვიოთ ვებ-გვერდს: **nyc.gov/nychope** ან დარეკოთ ნიუ-იორკის ოჯახური ძალადობის ცხელ ხაზზე: **800-621-HOPE**.

### მოიჯარის უფლებები

გჭირდებათ დახმარება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება გასახლებას ან თქვენს მეიჯარეს? ეწვიეთ ვებ-გვერდს: **nyc.gov/tenantprotection** ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე **311** და თქვით "tenant helpline" **(მოიჯარის დახმარების ხაზი)** იურიდიული კონსულტაციის მისაღებად.

### თავშესაფრის მოთხოვნის უფლება

თუ უსახლკაროდ ხართ უფლება გაქვთ მოითხოვოთ თავშესაფარი. მიიღეთ წვდომა თავშესაფართან დაკავშირებულ მომსახურებებზე სპეციალურ უსახლკარო პირთა მომსახურების განყოფილება (Department of Homeless Services, DHS)-ის მიმღებ ცენტრში ვიზიტით. გაიგეთ უფრო მეტი და დარეკეთ ტელეფონის ნომერზე **311**.

### მომხმარებელთა უფლებები

გაქვთ ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემები? თქვენ, როგორც მომხმარებელს, გაქვთ უფლებები. შეიტანეთ საჩივარი ვებ-გვერდზე: **nyc.gov/consumers** ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე **311**.